ხელშეკრულება N 54

ქ. თბილისი **05.04.2023 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“, წარმოდგენელი მისი დირექტორის კარლო (კახა) სიხარულიძის სახით (შემდეგ „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს ,,ქორფორეით სოლუშენზ", წარმოდგენელი მისი დირექტორის ზურაბ კვიციანის სახით (შემდეგ მიმწოდებელი), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შემსყიდველის ოფისში არსებული დაზიანებული კარადის კარის შეკეთება, CPV50850000 - ავეჯის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს კარადის კარის დაზიანებული ბორბლები და უზრუნველყოს კარის დახურვა-გაღების გამართული ფუნქციონირება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 325 (სამას ოცდახუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების და მოქმედების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილია სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“, ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4, მე-4 სართული.

4.3. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება–ჩაბარების აქტი ან/და ზედნადები ან/და ანგარიშფაქტურა ან/და სხვა) საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შესრულება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შესრულება, ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ან შეუმციროს მიმწოდებელს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს გაწეული მომსახურების ღირებულებას.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: ლოჯისტიკის მენეჯერი დავით ყურაშიძე, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარებას და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრების, რაოდენობის (მოცულობის), მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - კონტროლს.

8.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტის და წუნდების მიზეზების მითითებით.

8.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ასევე ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, ხოლო მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“ მისამართი ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4 ს/კ 204425121 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა 708067519 დირექტორი კარლო (კახა) სიხარულიძე	შპს ,,ქორფორეით სოლუშენზ" მისამართი: ქ. თბილისი, კოტე მესხის მე-2 აღმ. N4 ს/კ 404658777 სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ანგარიში: GE74BG0000000540106439 ზურაბ კვიციანი

LEPL GEORGIAN NATIONAL FILM CENTER

Digitally signed by LEPL GEORGIAN NATIONAL FILM CENTER
Date: 2023.04.05 15:21:16 +04'00'

Zurab Kvitsiani 01017016441

Digitally signed by Zurab Kvitsiani
Date: 2023.04.05 13:30:53